


**TFGBV გზაგვიკვდივი
კონდიციონასა და
საზოგადოებრივ
ცხოვრებაში
აქტიური ქადაგისთვის**

*პრაქტიკული ინსტიტუტების
ნაკრები TFGBV შემთხვევების
ეფექტური მართვისთვის*



ავტორები

- **ქეთევან გომელაური**, BISC Partners-ის ქცევის მეცნიერების მიმართულების ხელმძღვანელი
- **თინათინ სტამბოლიძე**, BISC Partners-ის აღმასრულებელი დირექტორი და ინტეგრირებული კომუნიკაციების მიმართულების ხელმძღვანელი
- **ეთუნა ბურდული**, BISC Partners-ის მკვლევარი

BISC Partners-ის გუნდი მადლობას უხდის ააიპ „წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის“ (GCRT) გუნდის წევრებს მათი მხარდაჭერისთვის.

სარჩევნი

ავტორები 2
ზუაბკვლევის შუასაბა 5
აბრკვიატურები და განმარტება 6
რა არის ტაქტოლოგიით ხაღმანუმილი განმარტული ნიშნით ქაღაღმა? 7

TFGBV-ის შემტხვევაში, მნიშვნელოვანია 7
გახსოვდეთ რიი ძიიითადი ფაქტი: 7
მნიშვნელოვანია განვასხვავოთ TFGBV ფოიები 8
მახასიატებების მიხედვით: 8
ია გამოაჩივს TFGBV-ს ქაღაღობის სხვა ფოიებისგან? 8
TFGBV იეაღუიად აზიანებს! 9
ციფრული ქაღაღობის ტეიმიები: 10
ონღაინ უსაფხტხოება აი აიის ოცნება! 11

რაომა არის მნიშვნელოვანი პოლიტიკასა და საზოგადოებრივ სხოვრებაში აქტიური ქაღაღის იფორმირება და შაშაღება TFGBV-თან დაკავშირებით? 12

იას ეფუძნება TFGBV-ის ნაიტიები? 13

რა უნდა იყო და რისთვის უნდა იყო შაღ თუ პოლიტიკოსი ან აქტივისტი ქაღი ხარ? 14

- 1. თუ პოლიტიკოსი ან აქტივისტი ქაღი ხარ, ან პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიუიობას აპიებ, ადბათობა იმისა, იომ TFGBV-ის სამიზნე გახდე მაღაღია 14*
- 2. გახსოვდეს, იომ ონღაინ თავდასხმა, იოგოიცი წესი ოიკესტიიებუდი ტაქტიკაა, იომედიც იწყებს მოქმედებას შენი აქტიუიობის კვადაკვად 14*
- 3. ოიკესტიში, იშვიათად მონაწიდეობენ იეაღუიი ადამიანები 15*
იატომ იყენებენ ტიოდებს და ბოტებს? 17
იოგოი ამოვიცნოთ ბოტები სოციადუი ქსედში? 18
იოგოი ამოვიცნოთ ტიოდები? 19
- 4. ტიოდ-ბოტებს და სოციადუი ქსედებში თავდამსხმედებს შემოქმედებითობა ახასიატებთ 21*
- 5. TFGBV შენ დისკიდეტიციას, გარუმებას, დემოიადიზაციას და იაც მთავაიია, ფსიქო-ემოციუი დაზიანებას ისახავს მიზნად 21*
- 6. პატიიიქაღუიი ნოიები ჯეი კიდევ ძიიეიია საქაიოველოში, შენი აქტიუიობის კვადაკვად გაიზიდება ზეწოდა შენი ოჯახის წევრ კაცებზე - ეს ქაღების გარუმების, კონტიოდისა და მაიოვის მიღწევის აპიობიებუდი იაიადია 22*
- 7. TFGBV-ის პიიობებში, შესადღოა შენი ოჯახის წევრი კაცების ფიიკუი უსაფხტხოებაზე მოგიწიოს ფიქი 22*
- 8. მზად იყავი, იომ დამკვიდეუდი გენდეუდი სტიეოტიპები შენს „გასანეტიადებდად“*

გამოიყენონ - ერთ-ერთი ხშირად გამოყენებადი ტექნიკაა -----	23
9. TFGBV-ზე ჰეაგიხება სამაჩთადამცავ ორგანიზაციაში -----	
ხშირად ჰეგიაგვიზაციას იწვევს -----	23
10. სტაბილური და უწყვეტი ფსიქო-ემოციური თეაპიური მხადაჭეა, მნიშვნელოვანია შენი მოწყვდალობის შესამციხებდაღ TFGBV-ის მავნე ზეგავლენის მიმათ - დახმახების თხოვნა სიხცხვილი ახ ახის -----	24
11. გიორ-ბოგებთან ინგეხაქციაში შესვდა დამაზიანებელია, „სქელი კანი“ და მათი მხიღება უკეთესი სგიაგვიგიაა -----	24

სასარგებლო რჩევები..... 25

გექნოლოგიით ხედშეწყობიღი გენღეხური ნიშნით	
დაღაღობასთან (TFGBV) გამკღავებებისთვის	25
ნაბიჭები TFGBV-ის ხისკის შესამციხებდაღ	25
დაღაღობა გამოვღიღებისთვის	26
გზავნიღი ყვედა დაღაღობა გამოვღიღისთვის:	26

შანი ოჯახის წევრებს მოუყავი

ყვადაჯარი რას მოგყავით თავში „რა უღა იცოღა და რისთვის უღა

იყო ზხაღ თუ აოღიოიკოსი ან ააქივისთი ააღი ხარ?“	27
აქიოთ გამოსეღიღების საჯაროღ გამოთაღა	27
აომსიბაბისგან დასეღიღი კანის განაქაღების სორაოთავია	27
არ შევღივარ იღოარაქციაში (Do not engage) არინსეივი.....	28
კოთაღოაჯახს არ აკითხუღობთ, ეს არ მოყვანი აართუღიღა	28
კაღღის რაკაოთვა	29
რადღურ აღაშიაღებთაღ კავშირის აღაყარაბა	29
აღვიღაღაბარკობის შესვდა - გაესაღა	29
რიგ შეათხვავაში მოქაღაღესთაღ კომუნიკაციაში შესვდა გამკღავების და	
იგვიჩაღეღის გარღღის აქაღიღიღა	30
შაოყობიღება/სარვირის შეთაღა სოსიადღურ ვდაოჯორგაჯა.....	30
სამართაღღაღაავ ორგანოეაში შეაოყობიღების/სარვირის	31
შაოანისას რაორაავიღყავიღის ასარღეაღაღ არ მოყვანი	
რართა ავობარკი ან ღეობით აღყურავიღი აირი.....	31
რართა იურისთი, აოიოთხოვა იურიღიღი დახაარაბა, როთ დაჯომო ღრო და აომსია...	32
ახარღაჯარის მიღაბა არასაათავრობო ორგანიგაციბისგან (CSO), როთღაბის	
აუშაობაღ TFGBV-ის არავსეიასა და რაავირაბაჯა, ანიშვადღოვანიღ	32

გზამკვლევის შესახებ

„ტექნოლოგიით ხელშეწყობილი გენდერული ნიშნით ძალადობის“ (TFGBV) გზამკვლევი, ქცევის მეცნიერებაზე დაფუძნებული, პრაქტიკული ცოდნისა და სწავლების ინსტრუმენტთა ნაკრებია. გზამკვლევის შემუშავებას წინ უსწრებდა პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ქალების TFGBV-სთან დაკავშირებული გამოცდილებების, მათი გამოწვევებისა და გამკლავების მექანიზმების კვლევა, რომელსაც დაეყრდნო წინამდებარე გზამკვლევი, რათა მაქსიმალურად იყოს მორგებული ადგილობრივ კონტექსტს.

გზამკვლევი შექმნილია:

- პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ქალებისთვის (WIPPL)
- ახალგაზრდა გოგონა აქტივისტებისთვის
- TFGBV-ის სამიზნე ქალებისა და გოგონებისთვის
- ყველა დაინტერესებული პირისთვის, ვისაც სურს მეტი გაიგოს და იმოქმედოს TFGBV-ის წინააღმდეგ

სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია ჩამოსატვირთი PDF ფორმატით, რომელიცადვილად წასაკითხი და გასაგებია ყველასთვის, ცნობიერების ამაღლებისა და ყველას გაძლიერების მიზნით.

აბრევიატურები და განმარტებები

BISC Partners	ქცევის ანალიზის, სტრატეგიისა და კომუნიკაციების გუნდი
GCRT	წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი
ქცევის მეცნიერება	საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭო
WIPPL	პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ქალები
TFGBV	ტექნოლოგიით ხელშეწყობილი გენდერული ნიშნით ძალადობა
OGBV	ონლაინ გენდერული ნიშნით ძალადობა
GBV	გენდერული ნიშნით ძალადობა
Cyber bullying	კიბერ ბულინგი, ძალადობის ფორმა, რომელიც ხდება ონლაინ სივრცეში, სხვადასხვა ციფრული პლატფორმების გამოყენებით.
Business as usual	სტანდარტული საქმიანობა, გულისხმობს ორგანიზაციების და აქტორების მიერ ჩვეულებრივი და სტანდარტული მეთოდების და პრაქტიკების გამოყენებას კონკრეტული სიტუაციების ან გამონკვევების დროს.

რა არის

ტექნოლოგიით ხელშეწყობილი გენდერული ნიშნით ძალადობა?

ტექნოლოგიით ხელშეწყობილი გენდერული ნიშნით ძალადობა - **Technology Facilitated Gender Based Violence (TFGBV)**, არის ძალადობის აქტი, რომელიც ხორციელდება ერთი ან მეტი პირის მიერ და რომელიც ჩადენილია, ხელშეწყობილია, გამწვავებული და გაძლიერებულია ნაწილობრივ ან სრულად ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ან ციფრული მედიის გამოყენებით, პირის მიმართ მისი გენდერული კუთვნილების საფუძველზე.

TFGBV-ის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია გახსოვდეთ ორი ძირითადი ფაქტი:

- **ეს არის გენდერული ძალადობა** - ქალები და გოგონები მხოლოდ იმიტომ არიან ძალადობის სამიზნეები, რომ ისინი ქალები და გოგონები არიან.
- **ეს უფრო ფართოა, ვიდრე მხოლოდ ონლაინ ძალადობა** და, მიუხედავად იმისა, რომ ის ხდება ონლაინ და ციფრულ სივრცეებში, ის ასევე შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი სახის ტექნოლოგიის საშუალებით - ძველი თუახალი, როგორცაა ტელეფონები, GPS თვალთვალის მოწყობილობები, დრონები ან ჩანერის მოწყობილობები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ინტერნეტთან.

ტექნოლოგიური ხელსაწყოები, რომლებიც შეიძლება ბოროტად გამოიყენონ მოძალადეებმა მსხვერპლთა თვალთვალის, შევიწროების, მეთვალყურეობისა და კონტროლის მიზნით, შეიძლება იყოს სმარტფონი, კამერა და სხვა ჩამწერი მოწყობილობები, გლობალური პოზიციონირების სისტემები (GPS) ან სატელიტური ნავიგატორები. ასევე, ინტერნეტთან დაკავშირებული სხვა მოწყობილობები, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუწყოს ძალადობას. ასეთებია: ქვკვიანი საათები, ფიტნეს აქტივობის აღმრიცხველები და სახლის ქვკვიანი მოწყობილობები, როგორცაა სფაივეარი (spyware) და სხვა აპლიკაციები.

მნიშვნელოვანია განვასხვავოთ TFGBV ფორმები მახასიათებლების მიხედვით:

ერთი მხრივ TFGBV მახასიათებლები, დაკავშირებულია ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობასა და ოჯახში ძალადობასთან, როგორცაა პარტნიორებისა და ნათესავების მხრიდან ძალადობა და იძულება მსხვერპლთან სიახლოვის საშუალებით (მაგ., მონაცემებთან და ელ. მონყობილობებთან წვდომა).

მეორე მხრივ, TFGBV-ის მახასიათებლები, დაკავშირებულია ანტი-დემოკრატიულ ძალებთან, როგორცაა WIPPL-ის შეურაცხყოფა და შევიწროება, რომელსაც ახორციელებენ უცნობები, ე.წ. ტროლები და ბოტები, რომლებიც იყენებენ სოციალურ მედიას ქალებისა და სხვადასხვა გენდერული ლიდერების გასაჩუმებლად, დასაშინებლად და საჯარო, სამოქალაქო სივრცეებიდან განსაღვენად (მაგ., ცილისმწამებლური კამპანიები, მუქარა, დოქსინგი და გენდერული დეზინფორმაცია).

რა გამოარჩევს TFGBV-ს ძალადობის სხვა ფორმებისგან?

TFGBV-ის მართვა გამორჩეულად რთულია, მისი ბუნების გამო:

1. ის ხშირად არის ანონიმური
2. ის შეიძლება განხორციელდეს დისტანციურად
3. ის ხელმისაწვდომია და იაფია მოძალადეებისთვის/ თავდამსხმელებისთვის
4. შეიძლება ავტომატურად განხორციელდეს
5. შეიძლება იყოს უწყვეტი და მარტივად გავრცელებადი
6. შეიძლება იყოს კოლექტიურად ორგანიზებული
7. ხშირად ხორციელდება დაუსჯელად, რადგან ამჟამად არ არსებობს ეფექტური სამართლებრივი ჩარჩოები პასუხისმგებლობის დადგომისთვის
8. რთულია TFGBV კონტენტის წაშლა ან ამოღება, ამიტომ ის მუდმივად რჩება

9. ის უწყობს ხელს ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის ნორმალიზაციას, რადგან ის აღიქმება როგორც ნაკლებად სერიოზული, ძალადობის სხვა ფორმებთან შედარებით.

TFGBV რეალურად აზიანებს!

TFGBV ხშირად აღიქმება, როგორც ნაკლებად სერიოზული ან ნაკლებად ზიანის მომტანი, ვიდრე ფიზიკური ძალადობის ფორმები, მაგრამ კვლევები აჩვენებს, რომ მას აქვს სერიოზული გავლენა ქალებისა და გოგონების ჯანმრთელობაზე, ცხოვრებასა და მომავალზე. TFGBV ასევე ხშირად შესაძლოა გადაიზარდოს ფიზიკური ძალადობის ფორმაშიც, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქალებისა და გოგონების უსაფრთხოებასა და ფიზიკურ მთლიანობას.

TFGBV-ის ზეგავლენა მენტალურ ჯანმრთელობაზე მძიმეა: სტრესი, შფოთვა, დეპრესია, პოსტტრავმული სტრესული აშლილობა, სუიციდური ფიქრები და სუიციდის მცდელობებიც კი დაფიქსირდა ძალადობა გამოვლილებში. ხშირია TFGBV-ის სექსუალიზებული ფორმების ძალადობა გამოვლილების სტიგმატიზაცია და დადანაშაულება, რაც აზიანებს მათ რეპუტაციას და მათი სოციალური ცხოვრების მრავალ ასპექტზე ახდენს გავლენას.

როდესაც ქალების პროფესიული ცხოვრება მჭიდროდ დაკავშირებულია ციფრულ სფეროსთან, TFGBV სერიოზულ გავლენას ახდენს მათ ეკონომიკურ შესაძლებლობებსა და რესურსებზე ხელმისაწვდომობაზე.

სხვაგვარად, რომ ვთქვათ, გენდერული ნიშნით ძალადობის (GBV) ტრადიციული ფორმების მსგავსად, არსებობს მკაფიო მტკიცებულება, რომ ტექნოლოგიით ხელშეწყობილი გენდერული ნიშნით ძალადობა (TFGBV) არის უნივერსალური პრობლემა, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქალებზე, განურჩევლად მათი სოციო-ეკონომიკური კლასისა, განათლების სტატუსისა, რელიგიური კუთვნილებისა თუ სხვა სოციალური იდენტობისა. TFGBV აძლიერებს გენდერულ სტერეოტიპებს და ხისტ პატრიარქალურ სოციალურ ნორმებს, რაც ზიანს აყენებს როგორც მსხვერპლს, ასევე ძალადობის შემსწრეებს.

TFGBV გამოყენება მზარდია, იმ ქალებისა და გენდერულად განსხვავებულ ინდივიდების წინააღმდეგ, ვისი ხილვადობაც ონლაინ სივრცეში მაღალია, მათი პროფესიის ან აქტივიზმის გამო.

TFGBV-ის მზარდი გავლენა იწვევს ქალთა ხმის სისტემატურ ჩახშობას ისეთ საჯარო სივრცეებში, როგორც პოლიტიკა, ჟურნალისტიკა და სამოქალაქო ჩართულობა - ეს არის ფენომენი, რომელიც არაფორმალურად ცნობილია როგორც “მსუსხავი ეფექტი”.

ციფრული ძალადობის ტერმინები:

ონლაინ იზაქროსონასია

ყალბი პროფილის შექმნა და სხვისი იდენტობის მიტაცება ბოროტი მიზნებისთვის, მათ შორის ვინმეს რეპუტაციის დაზიანებისა ან მისი უსაფრთხოებისათვის საფრთხის შექმნის მიზნით.

კიბერაღუწვა

მუდმივი, არასასურველი და/ან მუქარის შემცველი მეთვალყურეობა, კონტაქტი და/ან თვალთვალი ტექნოლოგიური საშუალებებით. კიბერაღუწვა, შეიძლება გადაიზარდოს ოფლაინ თვალთვალში და პირიქით.

შელო-ფეიქი (Shallowfake)

შეცვლილი სურათი, რომელიც ხშირად მზადდება სარედაქციო პროგრამებით, მაგალითად, ვინმეს სახის სხვის სხეულზე მიმაგრება. უფრო სანდო და დახვეწილი ღრმა ფეიქი (deepfake) მზადდება მანქანური სწავლების გამოყენებით.

დოქსინგი

პირადი და კონფიდენციალური ინფორმაციის, მათ შორის სახლისა და სამსახურის მისამართების, ტელეფონის ნომრების, ელექტრონული ფოსტის მისამართებისა და გვარების, ნებართვის გარეშე გამოქვეყნება.

დოქსინგი შესაძლოა მოიცავდეს მოწოდებას, დაუკავშირდნენ სამიზნეს, ზიანის მისაყენებლად ან უხამსიზრახვებისთვის.

ონლაინ იზაქროსონასია

ონლაინ თვალთვალის ფორმა, ციფრული ტექნოლოგიების მეშვეობით ზიანის მუდმივი და მიზანმიმართული მიყენება მსხვერპლის თვითშეფასების შელახვის მიზნით.

გენდერული ნიშნით სიძულვილის ენა

გენდერული ნიშნით სიძულვილის ენა მოიცავს მტკივნეულ, დამაზიანებელ, სიძულვილით სავსე, დამამცირებელ, დამცინავ და მტრულ განცხადებებს, კომენტარებს ან სხვა სახის გამოხატვებს, რომელთა სამიზნე არის ადამიანი, მისი სქესის, გენდერის ან სექსუალური ორიენტაციის გამო. ამაში ასევე შედის კომენტარები, რომლებიც მიანიშნებენ, რომ ასეთ პირებს უნდა მიაყენონ ზიანი ან თავად მიაყენონ საკუთარ თავს ზიანი.

ონლაინ შავინროება

განმეორებადი ქმედება, რომელიც ემუქრება, აწუხებს, აზინებს ან შეურაცხყოფს ვინმეს დამამცირებელი, შეურაცხყოფელი ან სიძულვილით გამორჩეული კომენტარების ან გამოსახულებების გაგზავნით. ონლაინ სექსუალური შევიწროების სამიზნე, ძირითადად ქალები, გოგონები და ლგბტქი+ პირები არიან.

საუსტორცია

ეს არის ელექტრონული შანტაჟის ფორმა, რომლის დროსაც ითხოვენ ფულს, სექსს/სექსუალურ აქტებს ან დამატებით ინტიმურ სურათებს, სანაცვლოდ იმისა, რომ არ გაასაჯაროვონ ინტიმური სურათები ან პირადი ინფორმაცია.

კიბარჟობი

ინტერნეტ თავდამსხმელთა დიდი ჯგუფი, რომლებიც ემუქრებიან, შეურაცხყოფენ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებენ სამიზნეს, ხშირად ორგანიზებული და კოორდინირებული ფორმით.

ონლაინ უპიცროება

განმეორებადი ქმედება, რომელიც ემუქრება, აწუხებს, აშინებს ან შეურაცხყოფს ვინმეს დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი ან სიძულვილით გამორჩეული კომენტარების ან გამოსახულებების გაგზავნით. ონლაინ სექსუალური შევიწროების სამიზნე, ძირითადად ქალები, გოგონები და ლგბტქი+ პირები არიან.

ციფრული ვუაიერიზმი

ციფრული ვუაიერიზმი გულისხმობს ადამიანების სხეულების გადაღებას, ყურებას და ონლაინ ვიდეოების გაზიარებას პირდაპირი ან წინასწარ ჩანერილი ვიდეოების საშუალებით. ეს შეიძლება მოხდეს ფარული კამერების განთავსებით ჩვეულებრივი ნივთების შიგნით ან პირისგან მოპარული ფოტოების საშუალებით, რომლებიც შემდეგ მათი თანხმობის გარეშე ვრცელდება. ზოგჯერ, ადამიანების გამოსახულებები შეიძლება გაყალბებული ან დამონტაჟებული იყოს. ასეთი ქმედებების შედეგად მიღებულ გამოსახულებებს “კრიპშოტები” ეწოდება.

ონლაინ უსაფრთხოება არ არის ოცნება!

ტექნოლოგიებით ხელშეწყობილი გენდერული ნიშნით ძალადობის (TFGBV) პრევენცია ისეთივე შესაძლებელია, როგორც ნებისმიერი სხვა ფორმის ძალადობის პრევენცია. კვლევები აჩვენებს, რომ სხვადასხვა დონეზე მიზნობრივი პრევენციული ღონისძიებები, მათ შორის მთავრობების, კერძო სექტორის, ტექნოლოგიური კომპანიების, საზოგადოებებისა და ინდივიდების ჩართულობა, და შესაბამისი დახმარების სერვისები ძალადობის მსხვერპლთათვის, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს TFGBV-ის დასრულებაში. ტექნოლოგიებით ხელშეწყობილი ძალადობის შემსწრეების ჩართულობა და რეაგირება ინციდენტებზე და მათ მიერ მსხვერპლის მხარდაჭერის შემთხვევები იმედისმომცემია ძალადობის შემთხვევების შემცირებასა და მათი აღმოფხვრისგზაზე. გამბედაობაა საჭირო ცვლილების დასაწყებად, დანარჩენი კი თავისთავად მოვა. “ერთად უფრო მეტის გაკეთება შეგვიძლია, ვიდრე ცალკე!”

რატომ არის მნიშვნელოვანი პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ქალების ინფორმირება და შეზღადავა TFGBV-თან დაკავშირებით?

კვლევების მიხედვით, ქალების თითქმის 40%-ს აქვს TFGBV-ის გამოცდილება, განსაკუთრებით კი იმ ქალებს, ვინც მოღვაწეობს პოლიტიკაში, ჟურნალისტიკაში, ადამიანის უფლებათა დაცვასა და სხვა საჯარო როლებში. TFGBV, პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ქალებზე (WIPPL) მიმართული ყველაზე გამორჩეული ძალადობის ფორმაა, რაც გამოიხატება როგორც „ფიზიკური, სექსუალური ან ფსიქოლოგიური ძალადობის აქტი ან მუქარა, რომელიც ხელს უშლის ქალებს თავიანთი პოლიტიკური უფლებებისა და მთელი რიგი ადამიანის უფლებების რეალიზაციასა და განხორციელებაში“¹.

WIPPL-ი ქალები ხშირად არიან ტექნოლოგიით ხელშეწყობილი ძალადობის სამიზნე, მათი მაღალი ხილვადობისა და საზოგადოებაში არსებული როლის გამო. კვლევები აჩვენებს, რომ TFGBV ხშირად რჩება დაუსჯელი, რის გამოც ბევრი ქალი გადის საჯარო ცხოვრებიდან, რათა თავი დაიცვას ემოციური, ფიზიკური, სოციალური და ეკონომიკური ზიანისგან. ხშირია შემთხვევები, როდესაც მუქარები ვრცელდება მსხვერპლის ოჯახის წევრებზეც. TFGBV-ის გავლენა ინდივიდების კეთილდღეობაზე სერიოზულია: ქალები ხშირად თვითცენზურას მიმართავენ და ამცირებენ სამოქალაქო აქტიურობას. ეს ზრდის პარტიარქალური და დიქტატორული ტენდენციების გავრცელების რისკს. TFGBV-ით გამოწვეული “მსუსხავი ეფექტი” ასევე ვრცელდება WIPPL-ი ქალების სოციალურ და თემში, რის შედეგადაც იკლებს თემის წევრი ქალების პოლიტიკური ამბიციები და სამოქალაქო ჩართულობა. TFGBV რეალურ საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ და პლურალისტურ საზოგადოებებს და ამავდროულად ინდივიდის ადამიანის უფლებების დარღვევაა. TFGBV წარმოადგენს დიდ ბარიერს გენდერული თანასწორობისა და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში.

1 UNESCO 2021, The Chilling: Global trends in online violence against women; <https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000377223>

რას ეფუძნება TFGBV-ის ნარატივები?

ანტი-ფემინისტური ტაქტიკები და ონლაინ ნარატივები

ტაქტიკები ის მეთოდებია, რომლებსაც მამაკაცების ჯგუფები იყენებენ გენდერული თანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლისას. ნარატივები კი ის დისკურსებია, რომლებსაც ისინი ემნიან და ავრცელებენ, რათა ფემინისტები და ფემინისტური მოძრაობები გააკრიტიკონ და ხელი შეუწყონ პატრიარქალური დღის წესრიგის პოპულარიზაციას. ქვემოთ მოცემული სურათი ასახავს ყველაზე გამოჩენილ ნარატივებს და ტაქტიკებს, რომლებსაც იყენებენ მამაკაცების გარემოში გლობალურად. გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით Quilt.AI მიერ განხორციელებულმა კვლევამ²¹ დაადასტურა, რომ ონლაინ ტაქტიკები შეესაბამება მოცემულ ცხრილში აღწერილ ტაქტიკებს.

ანტი-ფემინისტური ტაქტიკები და ნარატივები

თემის გადატანა: ქალთა უფლებების საკითხებიდან ყურადღების გადატანა	უარყოფა: გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებების საკითხების რეალურობის უარყოფა.	დაკნინება: გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებების საკითხების მნიშვნელობის დაკნინება.	მუქარა: ქალების და ქალთა უფლებების აქტივისტების დაშინება და მუქარა.
---	--	--	--

ტაქტიკები:	ნარატივების შემოტრიალება: ფემინისტური პრეტენზიების შემოტრიალება და მამაკაცებისადმი პოზიტიური ყურადღების გადატანა.	დისკრედიტაცია: ქალთა უფლებების აქტივისტების ლეგიტიმაციის, მოტივების და მეთოდების ეჭვის ქვეშ დაყენება.	განყოფა: ქალთა უფლებების აქტივისტებს შორის ერთიანობის დარღვევა.
------------	--	--	--

ნარატივები:	ძალადობის და მტრული დამოკიდებულების გამართლება ქალების მიმართ.	ქალების დამცირების გამართლება .	მამაკაცების მსხვერპლად წარმოდგენა გენდერული თანასწორობის გამო.	ქალების გარიცხვის გამართლება.	პატრიარქალის და მამაკაცთა პრივილეგიების ხელშეწყობა.
-------------	--	---------------------------------	--	-------------------------------	---

² <https://asiapacific.unwomen.org/en/digital-library/publications/2023/05/online-opposition-to-gender-equality>

რა უნდა იცოდეთ და ჩისთვის უნდა იყო გზად თუ პოლიტიკოსი ან აქტივისტი ქალი ხარ?

1. თუ პოლიტიკოსი ან აქტივისტი ქალი ხარ, ან პოლიტიკოსი და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურობას აპირებ, ალბათობა იმისა, რომ TFGBV-ის სამიზნე გახდეთ მაღალია

საქართველოში, და არა მხოლოდ, თუ ხარ საჯარო პირი, უნდა ელოდო, რომ შენზე სხვადასხვა ინფორმაცია გავრცელდება და შესაძლოა დისკრედიტაციის კამპანიების სამიზნე გახდეთ. ამიტომ, მნიშვნელოვანია, იცოდეთ, როგორ უნდა გაუმკლავდეთ მსგავს სიტუაციებს და შეინარჩუნოთ ფსიქოლოგიური სიმტკიცე. ამისთვის, ფსიქოლოგიური სავარჯიშოები და მხარდაჭერის მექანიზმების ხელმისაწვდომობაა აუცილებელი, რომ შეძლოთ ძალების მოკრება და TFGBV-ის მიმართ მედეგობის გამომუშავება. რესურსებისთვის ეწვიეთ ვებ-გვერდს:

<https://aisi.blog/courses/>

2. გახსოვდეს, რომ ონლაინ თავდასხმა, როგორც წესი ორკესტრირებული ტაქტიკაა, რომელიც იწყებს მოქმედებას შენი აქტიურობის კვალდაკვალ

პოლიტიკოსი და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ქალების წინააღმდეგ მიმართული TFGBV, ხშირად არის ორკესტრირებული მოქმედება, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ სოციალური ქსელებით და ხშირად ონლაინ სივრცეებსაც სცდება. ერთი მხრივ, ფიზიკურ გარემოში გაუღერებული შეურაცხყოფა ქალების მიმართ, ონლაინ სივრცეში თემის გაშლის ინსპირაცია ხდება; ხოლო მეორე მხრივ, ონლაინ აგორებული ძალადობრივი კამპანია, თავდასხმების ფიზიკურ სივრცეში გადანაცვლების საფრთხეს ქმნის.

მსგავსი კამპანიები მიზნად ისახავს პოლიტიკოსს და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ქალების დემორალიზაციას და დისკრედიტაციას, რათა შეასუსტონ მათი გავლენა და ჩაახშონ მათი ხმა. ე.წ. ტროლები და ბოტები, მედიასაშუალებები და საჯარო პირები ერთად მუშაობენ, რათა მოახდინონ ქალებზე ფსიქოლოგიური ზეწოლა და მათი იმიჯის შელახვა.

3. ორკესტრში, იშვიათად მონაწილეობენ რეალური ადამიანები

ემოციური სიმტკიცისთვის, მნიშვნელოვანია გახსოვდეს, რომ ის ასეულობით თავდამსხმელი, ვინც შენ სტატუსსა ან კომენტარზე, შეურაცხმყოფელ და მუქარის შემცველ კომენტარებს გიწერს, შესაძლოა საერთოდ არ იყოს რეალური ადამიანი.

ბოტი

ბოტი ატლანტიკური საბჭოს Digital Forensic Research Lab (DFRL) -ის განმარტებით, სოციალურ ქსელში არსებული ავტომატიზებული პროფილია, რომელსაც რეალური პიროვნების პროფილისთვის მიმსგავსებული მახასიათებლები [აქვს](#). ბოტების მართვა შესაძლებელია ერთგვარი ქსელის სახით, როდესაც ერთი კონკრეტული მომხმარებელი დისტანციურად ათეულ ათასობით ავტომატიზებულ ანგარიშს მართავს.

ოქსფორდის უნივერსიტეტის ინტერნეტის ინსტიტუტი [გამოყოფს](#) ბოტების კიდევ ერთ სახეობას - **პოლიტიკურ ბოტებს**, რაც სპეციალურად შექმნილ კომპიუტერულ პროგრამას ან კომპიუტერულ კოდს გულისხმობს, რომელიც ონლაინ სივრცეში რეალური ადამიანის ქცევას არის მიმსგავსებული. ისინი არჩევნების და რეფერენდუმების პერიოდში სხვადასხვა მანიპულაციურ ტექნიკებს იყენებენ, მათ შორის ყალბი ამბებისა და პროპაგანდის გავრცელებას, ასევე ამა თუ იმ სუბიექტის ან ჯგუფის მიმართ ყალბი პოპულარობისა და მხარდაჭერის ილუზიის შექმნას ახდენენ. პოლიტიკური ბოტები მათთვის ხელსაყრელი შინაარსის შემცველ ინფორმაციას აზიარებენ (share), იწონებენ (like) და ონლაინ სივრცეში ჯანსაღი პოლიტიკური დისკურსის შეცვლას ცდილობენ.

ბოტები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ონლაინ სივრცეში მიმდინარე დებატებსა და დისკუსიებზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი ერთად, ქსელურად მუშაობენ. ბოტებს იყენებენ, როდესაც დამკვეთს სურს:

- ტრენდული ჰეშთეგის ან ფრაზის შექმნა;
- კონკრეტული გზავნილის გავრცელება და მხარდაჭერა;
- სხვა მომხმარებლის შევიწროვება და დისკრედიტაცია;
- ხელოვნური “მოწონებების” (Like-ების) და გამომწერების (Follower-ების) [გაზრდა](#).

გზოდი

ტროლი არის პიროვნება, რომელიც ონლაინ სივრცეში რეალური იდენტობის მითითების გარეშე მოქმედებს, რათა სხვადასხვა ვებ გვერდებზე, ფორუმებსა და სოციალურ ქსელებში მომხმარებელთა შორის ჯანსაღ დისკუსიას ხელი შეუშალოს. ტროლები მათთვის საინტერესო თემებზე სოციალური ქსელების ჯგუფებში, ბლოგებზე, ასევე ვებ პორტალების კომენტარების სექციაში აგრესიულ დაარათემატურ კომენტარებს წერენ, რათა ყურადღება მიიქციონ და მომხმარებელთა ემოციური პროვოცირება მოახდინონ.

ტროლის მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი მისი რეალური იდენტობის დამალვაა. ონლაინ სივრცეში ის ყალბი პროფილის მეშვეობით მოქმედებს, სადაც მის შესახებ არსებული ინფორმაცია ან გაყალბებულია, ან საერთოდ არ არის ასახული. ეს შეიძლება იყოს ფოტოები, საკონტაქტო ინფორმაცია, მონაცემები განათლებისა და სამუშაო ადგილის, ასევე ჰობის და ინტერესების შესახებ.

ჰიბრიდული ტროლი (Hybrid Trolls). კლასიკური ტროლისგან განსხვავებით, რომელიც ონლაინ სივრცეში უთანხმოებისა და კონფლიქტების გაღვივების მიზნით პირადი შეხედულებით მოქმედებს, ჰიბრიდული ტროლი დაქირავებულია, როგორც საინფორმაციო ომის იარაღი. ჰიბრიდული ტროლები სახელმწიფოს ან სახელმწიფო ინსტიტუტის დაქვემდებარებაში იმყოფებიან და ამ საქმიანობაში გარკვეულ ანაზღაურებასაც იღებენ.

კიბერ ძალები (Cyber Troops) სახელმწიფოს ან პოლიტიკური პარტიის დაქვემდებარებული ჯგუფებია, რომელთაც საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება ევალებათ. ოქსფორდის უნივერსიტეტის ინტერნეტის ინსტიტუტის კვლევის განმარტებით, კიბერ ძალების უმეტესობა პროსახელისუფლებო ან პარტიული გზავნილების გასავრცელებლად, როგორცქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ, ონლაინ კომენტატორებსა და სოციალური მედიის ყალბ ანგარიშებს იყენებს.

კიბერ ძალები სოციალური მედიის პლატფორმებზე კომპიუტერიზებულ პროპაგანდას აქტიურად იყენებენ.

კომპიუტერიზებული პროპაგანდა (Computational propaganda) არის, საზოგადოებრივი ცხოვრების მანიპულირების მიზნით, ავტომატური ტექნოლოგიების, ალგორითმებისა და დიდი მონაცემების (big data) ანალიტიკის გამოყენება (Howard & Woolley, 2016).

კომპიუტერიზებული პროპაგანდა მოიცავს:

- სოციალური მედიის მეშვეობით ყალბი ინფორმაციის და დებინფორმაციის გავრცელებას;
- მონაცემების უკანონოდ მოპოვებას და მიკრო-პროფილირებას;
- სოციალური მედიის გამოყენებას უცხო ქვეყნების გავლენის ოპერაციების წარმოებისთვის;
- ყალბი ანგარიშების, პოლიტიკური ბოტების და ე.წ. Click-bait-ების გამოყენებით, სიძულვილის ენის და მავნე კონტენტის წახალისებას.

რატომ იყენებენ ტროლებს და ბოტებს?

დღეს სოციალური მედია ჩვენი ყოფითი და პროფესიული ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. იგი მილიონობით ადამიანს შორის ინფორმაციის მიმოცვლის ერთერთი ყველაზე ეფექტიანი და სწრაფი საშუალებაა, რაც ზრდის მის როლს ფართო მასებზე სასურველი ზეგავლენის მოხდენის მხრივ. სოციალური მედია შესაძლოა, გამოყენებულ იქნას როგორც რესურსი - დამახინჯებული რეალობის შესაქმნელად.

ამგვარმა რეალობამ გავლენა უნდა მოახდინოს ცალკეული ინდივიდების გადწყვეტილების მიღების პროცესზე. შესაბამისად, დაინტერესებული ჯგუფები/სახელმწიფო აქტორები იყენებენ ტროლებს და ბოტებს, რათა მოქალაქე:

- დაარწმუნონ რაიმე საკითხის მართებულობაში;
- მოახდინონ გარკვეული თემატიკის ან ამბის ირგვლივ ადამიანების მობილიზება;
- მოიპოვონ კონკრეტული იდეოლოგიისადმი ფართო მასების მხარდაჭერა;
- შეცდომაში შეიყვანონ მოქალაქე;
- განახორციელონ მასზე ფსიქოლოგიური ზეწოლა.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად, ყალბი პროფილები და ავტომატიზებული ანგარიშები ავრცელებენ შესაბამის კონტენტს, შედიან ინტერაქციაში რეალურ მომხმარებლებთან და ცდილობენ სამიზნე აუდიტორიის ღირებულებათა სისტემა, ალქმები, ემოციები, მოტივაცია და დისკურსი შეცვალონ.

როგორ ამოვიცნოთ ბოტები სოციალურ ქსელში?

ბოტების, ანუ ავტომატიზებული ანგარიშების იდენტიფიცირება მხოლოდ ერთი კრიტერიუმის მეშვეობით რთულია. ატლანტიკური საბჭოს Digital Forensic Research Lab (DFRL)-ის [თანახმად](#), არსებობს რამდენიმე მახასიათებელი, რომელიც სოციალურ ქსელზე ბოტების იდენტიფიცირებაში [გვეხმარება](#).

პოსტების სიხშირე, აქტიურობა - ბოტები ძალიან ბევრს პოსტავენ. რაც უფრო ხშირად პოსტავს ესა თუ ის საექვო ანგარიში, მით უფრო სავარაუდოა, რომ ის ბოტია. ოქსფორდის ინტერნეტის ინსტიტუტის გუნდი მიიჩნევს, რომ დღეში 50 პოსტი ის ნიშნულია, რომელიც საექვოდ შეგვიძლია მივიჩნიოთ. Digital Forensic Research Lab (DFRL) ამგვარ ნიშნულად დღეში 72 პოსტს მიიჩნევს, თუმცა გამორიცხული არაა, რომ ბოტი გაცილებით ნაკლებსაც პოსტავდეს.

ანონიმურობა - უმეტეს შემთხვევებში ბოტების პროფილები რაიმე პერსონალურ ინფორმაციას არ შეიცავს.

საერთო კონტენტი: ბოტების ქსელის იდენტიფიცირება ადვილია, თუ შევამჩნევთ, რომ რამოდენიმე პროფილი ერთსა და იმავე კონტენტს დროის მცირე ინტერვალებში აქვეყნებს.

Botometer-ი. X-ზე (ყოფილი Twitter) ბოტების ამოსაცნობად სასარგებლო რესურსია [Botometer -ი](#), რომელიც ინდიანას უნივერსიტეტის ქსელური მეცნიერების ინსტიტუტისა (IUNI) და კომპლექსური ქსელებისა და სისტემების კვლევის ცენტრის ([CNetS](#)) ერთობლივი პროექტის ფარგლებში შეიქმნა. Botometer-ი X-ზე დარეგისტრირებული მომხმარებლების პროფილს აანალიზებს და აფასებს არის თუ არა ის ბოტი. ამისთვის რესურსი ქსელების სისტემას იყენებს. რაც უფრო მაღალია მითითებული პროფილის ქულა, მით უფრო დიდია ალბათობა რომ აღნიშნული მომხმარებლის პროფილი ბოტია.

რესურსით სარგებლობისთვის აუცილებელია ავტორიზაცია X-ზე თქვენი ანგარიშით გაიაროთ. საძიებო ველში ვუთითებთ ჩვენთვის X-ის მომხმარებლის username-ს. Botometer-ი საშუალებას გვაძლევს, შევამოწმოთ თავად ანგარიში, მისი გამომწერები ე.წ. Follower-ები, ასევე მომხმარებლის მეგობრები.

როგორ ამოვიცნოთ ტროლები?

ონლაინ სივრცეში ტროლების აქტივობას რამდენიმე მახასიათებელი აქვს, რაც მათ ამოცნობაში გვეხმარება:

ნაბიჯი #1: დავაკვირდეთ ტროლების მიერ დანერგულ კომენტარებს, რომლებიც:

- **კონტექსტიდან ამოვარდნილია** - შესაძლოა დისკუსია სრულიად სხვა თემაზე მიმდინარეობდეს, თუმცა ტროლი იმ თემებზე პოსტავდეს, რომელიც მოცემულ საკითხს საერთოდ არ უკავშირდება.
- **ვრცელია ან პირიქით - შეიცავს რამდენიმე სიტყვას, მოწოდებას, არასანდო წყაროების ბმულებს** - ერთის მხრივ, დისკუსიის დროს ტროლი შეიძლება კონკრეტულ თემატიკასთან დაკავშირებით ვრცელი კომენტარები დაპოსტოს, რაც რეალურ მომხმარებელზე გავლენის მოხდენის მიზნით, დისკუსიის არასაჭირო ინფორმაციით გადატვირთვას იწვევს. მეორეს მხრივ, ტროლი შესაძლოა, პოსტავდეს რამდენიმე სიტყვისგან შემდგარ მოწოდებებს, რომელსაც ახლავს არასანდო, ტაბლოიდური, ან უცნობი მედია რესურსების ბმულები.
- **აგრესიულია** - მათთვის სასურველი პოზიციის დაცვის ან გავრცელების მიზნით, ტროლები რეალურ მომხმარებლებთან ურთიერთობისას, აგრესიულობით გამოირჩევიან. არიან მუდმივად ერთ, რადიკალურ პოზიციაზე, რომელიც არასდროს იცვლება. მნიშვნელობა არ აქვს რამდენად სწორ და დასაბუთებულ არგუმენტს მოიყვანთ ტროლთან კამათისას, მისი მთავარი ფუნქცია საკუთარი პოზიციის დაფიქსირებაა დარაც შეიძლება მეტი მომხმარებლის იმაში დარწმუნებაა, რომ სწორედ მისი პოზიციაა ლეგიტიმური.
- **შეიცავს ენობრივ და გრამატიკულ შეცდომებს** - იმ შემთხვევაში თუ საქმე გვაქვს ტროლთან, რომელიც სხვა ქვეყანაში ცხოვრობს ან სხვა ენაზე საუბრობს, იგი ხშირად გრამატიკულ შეცდომებს უშვებს ან სხვა ენაზე პოსტავს.

ნაბიჯი #2: გავაანალიზოთ ტროლის პროფილი:

- **გამოვიკვლიოთ სექცია “ჩემ შესახებ” (About Me)**- სადაც, როგორც წესი, პროფილის მფლობელის შესახებ საკმაოდ მწირი პერსონალური ინფორმაციაა მოცემული. რეალური მომხმარებლები სოციალურ ქსელს სხვა მომხმარებლებთან ინტერაქციისთვის და კონტაქტების დამყარებისთვის იყენებენ.

ამისთვის ისინი საკუთარი თავის შესახებ პერსონალურმონაცემებს უთითებენ, როგორცაა დაბადების თარიღი, ოჯახის წევრები, სამუშაო ადგილი, განათლება. ონლაინ ტროლებს აღნიშნული მონაცემები მითითებული საერთოდ არ აქვთ, ან არასწორად უთითებენ. მაგალითად, ხშირად ტროლები დაბადების ადგილად აშშ-ს, ხოლო სამუშაო ადგილად Facebook-ს ან ცნობილ ბრენდებსა და კომპანიებს უთითებენ.

- **დავითვალისწინეთ ფოტოები** - ტროლის პროფილის ფოტოზე, Cover-ფოტოსა და ფოტოგალერეაში იშვიათად გვხვდება პერსონალური ფოტოები. უმეტეს შემთხვევებში, პროფილზე განთავსებული ფოტოების რაოდენობა საკმაოდ მწირია ან საერთოდ არაა. იმ შემთხვევაში, თუ საქმე გამოცდილ ტროლთან გვაქვს, შესაძლოა, პროფილზე სხვისი პირადი ფოტოები იყოს განთავსებული. ამის გამოსავლენად შეგვიძლია, გუგლის ფოტოების საძიებო სისტემა Google Image Search-ს მივმართოთ, რომელშიც ავტვირთავთ ტროლის პროფილზე განთავსებულ ფოტოებს და მოვძებნით ამ კონკრეტულ ფოტოზე ხომ არაა გამოსახული სხვა პიროვნება ან საჯარო პირი.
- **დავითვალისწინეთ ვიდეოები** - სოციალური ქსელის მომხმარებლების დიდ ნაწილს პროფილზე განთავსებული აქვს ვიდეოები, სადაც შესაძლებელია მათი საცხოვრებელი, სამუშაო, სასწავლებელი ადგილის, მეგობრების ან თავად ამ პიროვნების იდენტიფიცირება. ტროლების უმეტესობას პროფილზე ამგვარი ვიდეოები ატვირთული არ აქვს.
- **შევინწავლოთ მეგობრები** - უმეტესწილად, ტროლებს ბევრი მეგობარი არ ჰყავთ, თუმცა შესაძლოა შევხვდეთ ტროლებსაც, რომელთაც პირიქით - ათასობით მეგობარი ჰყავთ. თუ ტროლების მეგობრების სიაში უცხოელები ჭარბობენ, ხოლო ადგილობრივები მწირად ან საერთოდ არ არიან წარმოდგენილი, სავარაუდოდ, ყალბ პროფილთან გვაქვს საქმე.
- **ყურადღება მივაქციოთ სიახლეების ველში განთავსებულ მასალებს** - დავაკვირდეთ გაზიარებულ კონტენტს, ფოტოებს, ვიდეოებს. ტროლები ძირითადად კონკრეტული იდეოლოგიის და გზავნილის შემცველ სტატუსებს აქვეყნებენ, რომლებიც მათი განწყობების და პოზიციების შესახებ ინფორმაციას შეიცავს. ტროლების სიახლეების ველში ხშირად შეხვდებით დებინფორმაციული, ტაბლოიდური და უცნობი მედია საშუალებების ბმულებს.

ნაბიჯი #3: მონიშნეთ ყალბი პროფილი, რათა თავადაც დაეხმაროთ სხვებს მის ამოცნობაში:

- ხშირად ესა თუ ის ყალბი პროფილი სხვა მომხმარებლის მიერ უკვე იდენტიფიცირებულია, როგორც ტროლი, რაც დამატებით გვეხმარება მათ ამოცნობაში. იმისათვის, რომ თავადაც შეიტანოთ წვლილი ონლაინ სივრცის ტროლებისგან დაცვაში, გადამოწმების შემდეგ თავადაც დატოვეთ კომენტარი, რომელიც სხვა მომხმარებელსაც მისცემს ტროლის იდენტიფიცირების შესაძლებლობას.

4. ტროლ-ბოტებს და სოციალურ ქსელებში თავდამსხმელებს შემოქმედებითობა ახასიათებთ

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ე.წ. ტროლ-ბოტები და ზოგადად სოციალურ ქსელში აქტიური თავდამსხმელები, სხვადასხვა ხერხს მიმართავენ, იმისათვის, რომ შეცდომაში შეგიყვანონ და გაიძულონ კომენტარების წაკითხვა. მაგალითად, შეურაცხმყოფელი კომენტარის თავში ან ბოლოში გულის ემოჯი დაგიწერონ, რაც პირველი გზდება თვალში და გიჩენს მოლოდინს, რომ პოზიტიური, მხარდამჭერი სიტყვები დაგვდება და უნებლიედ იწყებ კომენტარის კითხვას. მათ ისიც იციან, რომ შეიძლება სიტყვების ფილტრაცია გამოიყენო, ამიტომ შეურაცხმყოფელ სიტყვას ერთ-ორ ასოს მოაკლებენ, რის გამოც ფილტრი მას უკვე ვეღარ ცნობს და ტოვებს კომენტარს.

5. TFGBV შენ დისკრედიტაციას, გაჩუმებას, დემორალიზაციას და რაც მთავარია, ფსიქო-ემოციურ დაზიანებას ისახავს მიზნად

TFGBV (ტექნოლოგიებით ხელშეწყობილი გენდერული ნიშნით ძალადობა) მიზნად ისახავს არამხოლოდ პიროვნების დისკრედიტაციას, არამედ მის გაჩუმებას, დემორალიზაციას და ფსიქო-ემოციურ დაზიანებას. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ როდესაც აქტივისტები, აქტიურ, ხმალამოდებულ ბრძოლაში არიან თავიანთი მიზნების მისაღწევად, ხშირად ვერ აცნობიერებენ ამ საფრთხეს. აქტიურ აქტივიზმში ყოფნისას, შეიძლება გქონდეს განცდა, რომ ამ ყველაფერზე მალლა დგახარ და ეს თავდასხმები შენ ვერაფერს დაგიშავებს. თუმცა გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თუ ემოციურად მზად არ დაუხვდია მორკესტრირებულ თავდასხმას, მისი გავლენა შესაძლებელია საკმაოდ დამაზიანებელი იყოს. მზად იყავი, რომ აქტივიზმში თავით გადაშვებულმა, რაღაც მომენტში აღმოაჩინო, რომ ამ თავდასხმების შედეგად, შენს ირგვლივ გარემო შეიცვალა და სულ სხვა, მათ შორის მტრულ რეალობაში აღმოჩნდი, რომელთანაც შესაბამისი ფსიქო-ემოციური მედეგობის გარეშე გამკლავება ვერ შეძლო.

TFGBV-ის განმახორციელებელთა მიზანიც ეს არის, რეპუტაციულ ზიანთან ერთად, შეარყიოს აქტიური ქალების ფსიქო-ემოციური მედეგობა, გააღრმავოს ფსიქოლოგიური ტრავმები, რაც საბოლოოდ აისახება ქალების აქტიურობასა და ჩართულობაზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

6. პატრიარქალური ნორმები ჯერ კიდევ ძლიერია საქართველოში, შენი აქტიურობის კვალდაკვალ გაიზრდება ზენოლა შენი ოჯახის წევრ კაცებზე - ეს ქალების გაჩუმების, კონტროლისა და მართვის მიღწევის აპრობირებული იარაღია.

„ვერ მოგივლია შენი ქალიშვილისთვის, რა ამბავშია?!“; „რა გახდა ამ შენი დის გაჩუმება?!“; „ცოლს ამდენს როგორ ვალაპარაკებ?!, რას მიკეთებ?“ - გეცნობა ეს კითხვები? თუ არა, იცოდე, რომ ეს ტიპიური კითხვებია, რომლითაც პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ქალების ოჯახის კაცი წევრების მიმართ ზენოლის განხორციელებას ცდილობენ. არსებული მყარი პატრიარქალური ნორმების გათვალისწინებით, იცოდე, რომ შენი აქტივიზმის კვალდაკვალ გაიზრდება ზენოლის მცდელობები შენი ოჯახის კაცი წევრების მიმართ, რადგან უშუალოდ თავდამსხმელებს და მათ ვინც TFGBV-ის მართვის უკან დგას, აქვთ მოლოდინი, რომ კაცების გავლენით გაიძულებენ დანებდეს. სამწუხაროდ ეს მოლოდინი უსაფუძვლო არ არის, რადგან ყოველთვის არ აქვთ აქტიურ ქალებს ოჯახის მხარდაჭერა, განსაკუთრებით კი ოჯახის კაცი წევრების მხრიდან, რის გამოც ისინი უარს ამბობენ თავის პოლიტიკურ, თუ საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე.

7. TFGBV-ის პირობებში, შესაძლოა შენი ოჯახის წევრი კაცების ფიზიკურ უსაფრთხოებაზე მოგინიოს ფიქრი

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ დამატებითი ემოციური ტვირთი, რომლის ზიდვა პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ქალებს უწევთ, არის საკუთარი ოჯახის კაცი წევრების ფიზიკურ უსაფრთხოებაზე ფიქრი. როდესაც ქალის მიმართ თავდამსხმელები შეურაცხმყოფელ და სექსუალური ძალადობის მუქარის შემცველ ეპითეტებს იყენებენ, მას უწევთ იმაზე ნერვიულობა, რომ ეს კომენტარები არ ნახონ ან მოისმინონ მისი ოჯახის კაცმა წევრებმა. რატომ? - რადგან საზოგადოებაში გავრცელებული სტერეოტიპების გათვალისწინებით, კაცებისგან არის მოლოდინი, რომ მათ ქალის ღირსება აუცილებლად და თან ფიზიკურად უნდა „დაიცვან.“ ეს კარგად იციან თავდამსხმელებმა და ამ გარემოებასაც მანიპულირების მექანიზმად იყენებენ - „ახლა ეს, რომ შენმა ძმამ ნახოს, წარმოგიდგენია რა მოხდება?“; „ერთი შენი ქმრის რეაქცია მაინტერესებს, ამ ყველაფერს, რომ მოისმენს“.

8. მზად იყავი, რომ დამკვიდრებული გენდერული სტერეოტიპები შენს „გასანეიტრალებლად“ გამოიყენონ - ერთ-ერთი ხშირად გამოყენებადი ტაქტიკაა

უკანასკნელ წლებში, ლგბტქი+ თემის მზარდი სტიგმატიზაციის ფონზე, კიდევ უფრო გაღრმავდა გენდერული სტერეოტიპები და TFGBV-ის ორკესტრირებული თავდასხმების დროს, ხშირად გამოიყენება, მათ შორის არა ლგბტქი+ თემის წარმომადგენლების წინააღმდეგ, მათი დისკრედიტაციისა და რეპუტაციული ზიანის მისაყენებლად. ეს ტაქტიკა განსაკუთრებით „კარგად“ რეგიონში, ვინრო სოციუმში მუშაობს. თუ შენ რეგიონში ცხოვრობ და აქტივიზმსა თუ პოლიტიკაში მოღვაწეობას აპირებ, იცოდე, რომ TFGBV-ის განმახორციელებლები ხშირად მიმართავენ აღნიშნულ ტაქტიკას ადგილობრივი აქტივისტების გასანეიტრალებლად.

9. TFGBV-ზე რეაგირება სამართალდამცავ ორგანოებში ხშირად რეტრავიზაციას იწვევს

TFGBV-ის, როგორც უკვე იცი არანაკლებ გავრცელებული ძალადობის ფორმაა, რომელზეც რეაგირება და სამართალდამცავი ორგანოებისთვის შეტყობინება მნიშვნელოვანია. თუმცა თუ შეტყობინებას გადაწყვეტ, მნიშვნელოვანია იცოდე, რომ არსებული გამოცდილებით, თუ წინასწარ კარგად არ იცნობ პროცესს, მას შეუძლია რეტრავიზაციის გამოწვევა. მაგალითად, ჩვენების მიცემისას, შენ შესაძლოა მოგიწიოს, იმ კომენტარების გამოსარჩევად, რომელიც დანაშაულის ნიშნებს შეიცავს (მუქარა), ყველა შეურაცხმყოფელი და მუქარის შინაარსის კომენტარის თავიდან ნაკითხვა, ამონერა ან დეტალურად გადმოცემა, რაც მატრავიზირებელი და ფსიქოლოგიური ზიანის მომტანია.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია იცოდე, რომ, ისევ და ისევ არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, სამართალდამცავი ორგანოების რეაქცია მსგავსი ტიპის დანაშაულებზე, ხშირად ფორმალური და არაეფექტურია, რაც იწვევს იმედგაცრუებას და სირთულეებს პროცესის დასრულებაში. ეს სიტუაცია კიდევ უფრო აძლიერებს ძალადოვანობის ტრამვას და უარყოფითად მოქმედებს მათფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. მნიშვნელოვანია წინასწარ იყო ინფორმირებული აღნიშნული პროცესის შესახებ, რომ რაც შეიძლება ნაკლები ფსიქოლოგიური ზიანი გამოიწვიოს ამდგომარეობიდან და მიიღო მაქსიმალური მხარდაჭერა და საფრთხოების უზრუნველყოფა.

10. სტაბილური და უწყვეტი ფსიქო-ემოციური თერაპიული მხარდაჭერა, მნიშვნელოვანია შენი მონყვლადობის შესამცირებლად TFGBV-ის მავნე ზეგავლენის მიმართ - დახმარების თხოვნა სირცხვილი არ არის

როგორც უკვე გითხარით, შენი მოღვაწეობის ყველაზე აქტიურ ფაზაში, შენ შესაძლოა გქონდეს განცდა, რომ TFGBV სიტუაციას აკონტროლებ და უმკლავდები, მათ შორის ორკესტრირებულ შემოტევებს, შენი აქტიურობის კვალდაკვალ. მაგალითად არ ტოვებ არც ერთ კომენტარს უპასუხოდ, მიყვები ბოლომდე ყველა შემოტევას და შენთვის შეუმჩნევლად, ნელ-ნელა ეფლობი იმ ფსიქო-ემოციური გამოფიტვის სპირალში, რომელშიც შენი ჩათრევა სწორედ ამ თავდასხმების მიზანია. ამ დროს კარგავ მგრძნობელობას რა მომენტში უნდა გაჩერდე, რომ ისევ შენ მოგადგეს ნაკლები ზიანი. გამოფხიზლება კი ხდება მაშინ, როდესაც სრულად გამოფიტული ხარ და ძალა აღარ შეგნევს განაგრძო მოქმედება. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რეგულარული ფსიქო-ემოციური თერაპია, კრიტიკულად მნიშვნელოვანია აქტივიზმში ჩართული ქალებისთვის, რათა ისინი არ მივიდნენ იმ კრიტიკულ ზღვარამდე, საიდანაც გამოსვლას გაცილებით მეტი ენერჯია, დრო და რესურსი სჭირდება.

11. ტროლ-ბოტებთან ინტერაქციაში შესვლა დამაზიანებელია, „სქელი კანი“ და მათი მხილება უკეთესი სტრატეგიაა

ტროლ-ბოტებთან ინტერაქცია არაფრის მომცემი, ხშირ შემთხვევაში კი გამომფიტავი და ემოციურად დამაზიანებელია. როგორც უკვე იცი, ბოტი შესაძლოა კომპიუტერული კოდი ან პროგრამა იყოს, ხოლო ტროლი შენს პროვოცირებაზეა ორიენტირებული და სიტუაციის ესკალაციას ცდილობს. ამის თავიდან ასაცილებლად, უმჯობესია შეინარჩუნო ემოციური სიმტკიცე, გამოიყენო „სქელი კანის“ პრინციპი და არ უპასუხო მათი პროვოცირების მცდელობებს. გაცილებით ეფექტური სტრატეგიაა მათი იდენტიფიცირება და საჯაროდ მხილება, რაც შეამცირებს მათი გავლენის არეალს და შეაფერხებს დეზინფორმაციის გავრცელებას.

სასარგებლო რჩევები

ტექნოლოგიით ხელშეწყობილი გენდერული ნიშნით ძალადობასთან (TFGBV) გამკლავებისთვის

TFGBV გახშირდა, რადგან მოძალადეები ჩადიან დანაშაულს და სისტემები ვერ ახერხებენ მის პრევენციას. თუმცა, TFGBV-ის პრევენცია შესაძლებელია, თუ ყველა ერთად ვიმუშავებთ უსაფრთხო და ინკლუზიური ონლაინ სივრცეების შექმნაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ძალადობა გამოვლილების პასუხისმგებლობა არ არის TFGBV-ის პრევენცია, როდესაც სისტემები ვერ იცავენ, მათ სხვა გზა არ რჩებათ, გარდა იმისა, რომ თვითონ დაიცვან საკუთარი თავი.

მიუხედავად იმისა, რომ არცერთი ამ რეკომენდაციებიდან არ მოგცემს TFGBV-ის რისკისგან სრული დაცვის გარანტიას, აქ არის რამდენიმე მარტივი ნაბიჯი, რომლებიც შესაძლოა დაგეხმაროს უსაფრთხოდ იგრძნოთ თავი ონლაინ ურთიერთობისას.

ნაბიჯები TFGBV-ის რისკის შესამცირებლად

- დაფიქრდით, გსურთ თუ არა შენი სოციალური მედია ცხოვრება იყოს საჯარო თუ პირადი. თუ აირჩევ პირველ ვარიანტს, ყოველთვის სიფრთხილით მოეკიდეთ იმ ინფორმაციას, რომელსაც ავრცელებ სოციალურ მედიაში.
- შენი პირადი დეტალების დაცვის უზრუნველსაყოფად, დარწმუნდი, რომ მართავ პაროლებსა და კონფიდენციალურობის პარამეტრებს სწორად და პერიოდულად ანახლებ მათ.
- ვებკამერების გატეხვა ასევე საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა, ამიტომ პერიოდულად შეამოწმე შენი ტექნიკა. სიფრთხილის მიზნით, არ განათავსო ვებკამერა ან ლეპტოპის/დესკტოპის კამერა შენს პირად სივრცეში სახლში, რათა არავინ შეძლოს ინფორმაცია ჩანეროს და გამოიყენოს ეს შენ წინააღმდეგ.
- გაითვალისწინე უსაფრთხოების ზომების გამოყენება ყველა შენს ციფრულ მოწყობილობაზე, როგორცაა ანტივირუსული პროგრამები და ორი ფაქტორიანი ავთენტიფიკაცია, რათა დაიცვა საკუთარი თავი.

- ციფრული უსაფრთხოებისა და მედეგობის გამომუშავების შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიე ვებ-გვერდს- <https://aisi.blog/courses/>
- ნებისმიერი ადამიანი შეიძლება გახდეს TFGBV-ის მსხვერპლი. გაუზიარე ეს ცოდნა ყველას, ვინც TFGBV-ის სამიზნეა.

ძალადობა გამოვლილებისთვის

- იმ მომენტში შურისძიება დაივიწყე. პირველ ნაბიჯად, შეგიძლია დაბლოკო მოძალადე, მაგრამ აუცილებლად შეინახე ყველა მტკიცებულება, რადგან ეს გამოგადგება მომავალში საჩივრის დაწერისას.
- არ დაადანაშაულო საკუთარი თავი ამ სიტუაციაში ყოფნისთვის. დახმარებისთვის მიმართე სანდო მეგობარს, ოჯახის წევრს, პროფესიონალს ან შესაბამის ორგანიზაციას, რომელიც TFGBV-სთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობს.
- როდესაც საჩივარს წერ, არ გამოტოვოთ არც ერთი დეტალი, როგორც წვრილმანი დეტალიც არ უნდა იყოს, რადგან ეს შეიძლება დაეხმაროს შენს საქმეს.
- ეცადე, დროებით მოიშორო ტელეფონები, ლეპტოპები და ტექნიკა, და გაატარო დრო სხვა აქტივობებში სანდო ადამიანებთან ერთად.

გზავნილი ყველა ძალადობა გამოვლილისთვის:

მნიშვნელოვანია ყოველთვის გახსოვდეს, მიუხედავად იმისა, თუ ყველა ზემოთ მითითებულ ნაბიჯს მივყვები, TFGBV მაინც შეიძლება მოხდეს და ეს შენი ბიზნესი არ არის.

მნიშვნელოვანია გახსოვდეს, რომ პასუხისმგებლობა მოძალადეზეა. ის იღებს გადაწყვეტილებას, რომ ზიანი მოგაყენოს და შენ აჩაპოთა შემთხვევაში ახ ხახ პასუხისმგებელი მის ქმედებებზე.

შენი ოჯახის წევრებს მოუყავი ყველაფერი რაც მოგიყავით თავში „რა უნდა იცოდეთ და რისთვის უნდა იყო მზად თუ პოლიტიკოსი ან აქტივისტი ქალი ხარ?“

როგორც უკვე იცი, ოჯახის წევრებზე ზეწოლა, განსაკუთრებით კაც წევრებზე TFGBV-ის განმახორციელებელთა ერთ-ერთი ტაქტიკაა შენს გასაჩუმებლად. ამიტომ მნიშვნელოვანია, როგორც შენ, შენი ოჯახის წევრებიც ინფორმირებული იყვენ რა გამონვევების წინაშე შეიძლება აღმოჩნდნენ, რაც გაზრდის მათ მედეგობას, დაძლიონ ზეწოლის მცდელობები.

მძივამ გამოცდილების საჯაროდ გამოტანა

არსებული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პირადი ტრაგედიებსა და ტრავმებზე დუმილი ინვესტს ეჭვს, რომ ქალებს რცხვენიათ ან ერიდებათ ამ თემაზე საუბარი, და ოპონენტები ცდილობენ ამის სათავისოდ გამოყენებას. საჯაროდ საუბარი და საკუთარი, რეალური ისტორიის გაუღერება არის ერთ-ერთი მექანიზმი ამ მცდელობის აღსაკვეთად და გავლენის შესამცირებლად. **“ჩემს ცხოვრებაში იყო ავახია, სადაც მე ვიყავი საჭესთან და ჩემი მეგობარი დაიღუპა. ოპონენტები მაძახებდნენ ამ ფაქტზე. ამიგომ, ჩემთვის სტრატეგია იყო საჯაროდ საუბარი ამ თემაზე, ავხსენი, ხა მოხდა და ღიად ვიდაპაჩაკე ჩემს გზაგეგმაზე. თუ ახ საუბრობ, ოპონენტებს ჰგონიათ, რომ გცხვენია ან გეხილება და ამას იყენებენ.”** – ჟურნალისტი, თბილისი.

ამოცნიებისგან დასვლილი კანის გასქედიების სტრატეგია

კიდევ ერთხელ გაითავისე, რომ ძირითადად TFGBV პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ქალების მიმართ, ორკესტრირებული სტრატეგიაა, განხორციელებული ძირითადად ტროლ-ბოტების საშუალებით. ამის გაცნობიერება დაგეხმარება არა

ემოციური, არამედ პრაგმატული პრიზმით შეხედო ამ გარემოებას და ნაკლები ფსიქო-ემოციური დანაკლისით გაუმკლავდე TFGBV შემთხვევებს. „*ხოდესაც გავიგე და გავაცნობიე ჩა პიოცესები ღვას ამის უკან. ჩოგოხ ახის მახოუდი - ხალაც მედია საშუადების გვეხდზე, ხომ დავაკომენტაჰებ, ეგე შემომივახდებიან და ჯოჯოხეთს მიწყობენ. ან თუ ვკითხუდობ მახოდა ძადიან კაჰგად გაცნობიეებუდად საქმიანი მიზნით, ხომ ემოციუხად ახ შემეხოს*“. აქტივისტი, უფლებადამცველი.

არ შევივარ ინტერაქციაში (Do not engage) პრინციპი

ეს სტრატეგია გულისხმობს, რომ არ უნდა უპასუხო ტროლების ან ბოტების კომენტარებს, რადგან ეს მხოლოდ გაზრდის ჩართულობას და მათთვის სასურველ შედეგს. *“ჩვენი შიდა პოლიტიკაცაა, ხომ do not engage. ეს ყველაფერი იმიტომ იწყება, ხომ მათი სტრატეგიაა ყუხადლების მიპყრობა და ჩათხევის სპიხადუხად განვითაჰება, შემოდგომი ესკადაციის მიზნით. უმეგეს შემთხვევაში ანონიმუხი გხოდები მოქმედებენ და იქ აზხი ახ აქვს ჩაჰევას*,” - ჟურნალისტი, თბილისი.

კომენტარებს არ ვკითხულობთ, ეს პროცესი მართულია

„ახდაც ახის კომენტაჰები, მაგამ უკვე აღაჰ ვკითხუდობ, იმიტომ ხომ ვიცი ეს მახოუდია“ - აქტივისტი, უფლებადამცველი, თბილისი.

„ახ წავიკითხო ახის ეხო-ეხოი სტრატეგია, იმიტომ, ხომ ხაც ახ უნდა იცოდე ხომ ეს ხადხი მოგზავნიდია, შოკში გაგდებს ის სიძუდევიდი, ხომედიც ეწეჰება. ამიტომ ახდა ვცდიდობ ხომ ახ წავიკითხო, თუ წავიკითხე მაინც მოქმედებს და ამიტომ ვეხიდები“ - პოლიტიკოსი, თბილისი.

„ეხო-ეხოი ჩევაეგეც შეიძლება იყოს ხომ ახ წავიკითხო კომენტაჰი, დაწეხინე მაგამაჰ წავიკითხო, ყოვედეღე მაინც დაკიდევთუხვები პიხვედისი ტყვებიდან, ხომ ცუდი კომენტაჰი იქნება ახ წავიკითხო ბოდომდე“ - აქტივისტი, თბილისი.

„მაქვს შემთხვევები, ხომ ‘ინბოქსში’ მწეჰენ, უწმაწეხი ხალაცები. ივსება ჩემი ინბოქსი, გინება, ხომედსაც საეხოთოდ ახც ვკითხუდობ და ახც ვხსნი. ან ვხსნი და ახანაიხი გავდენა ახ აქვს ჩემზე“ - ჟურნალისტი, თბილისი.

კედლის ჩაკეტვა

კედლის ჩაკეტვა სოციალურ ქსელში, ერთ-ერთი გამოსავალია კომენტარების პრევენციისთვის, რომელიც შემდეგ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს TFGBV სამიზნე ქალების ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე. **„კედელი ჩაკეტილი მაქვს, ხაღვან მე პოლიტიკოსობას აჩ ვაპიხებ, ხომ მაინტეგრებს ჩემზე ხას ფიქრობენ“** - ჟურნალისტი, თბილისი.

რეალურ ადამიანებთან კავშირის დამყარება

როდესაც შეურაცხმყოფელი კომენტარების უკან რეალური ადამიანები დგანან, მათთან კავშირის დამყარება შესაძლოა გამკლავების ეფექტური მეთოდი იყოს. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რეალურ ადამიანებს სჭირდებათ ახსნა საკუთარი ქცევის შედეგების. კერძოდ იმისა, რომ მათი სიტყვები ჰაერში კი არ რჩება, არამედ კონკრეტულ ადამიანს აზიანებს, ისევე როგორც მისი ოჯახის წევრებს. **„ძალიან იმოქმედა იმიტომ ხომ საჯახოდ იყო, პიხადში ხომ მოეწეხათა იმიოქმედება, მაგხამ მეც ხომ შვიდები მყავს, ბიჭები, ამ კაცის კედელი ვნახე, ნამდვირი ადამიანი იყო და გავუგზავნე დამეგობრება, მოკვდე ისე მოვახეხე ხომ facebook ით დავუხეკე 'მესინჯეში'. ვუთხა ი, როდესაც ამ პოსტს წეხდით, გიფიქჩიათ, ხომ მე შვიდები მყავს, ცოცხადი ადამიანი ვაჩ და ხალაცები და გარუმდა, შეხცხვა, ვუთხა ი თქვენი ნახვა კი ახა ბოლიშს ველოდებითოქო, მოიბოლიშა ამ ადამიანმა“** - პოლიტიკოსი, თბილისი

მსგავსი მიდგომა სხვა შემთხვევებშიც გამოიყენეს, სადაც შეურაცხმყოფელი კომენტარები იყო. რეალურ ადამიანებთან კომუნიკაციაში შესვლა და მათთან საუბარი ხშირად შეარბილებდა სიტუაციას და ხელს უწყობდა პრობლემის მოგვარებას.

ადგილმდებარეობის შეცვლა - გაეცადა

თუ გრძნობ, რომ ემოციურად ვეღარ უმკლავდები ამ თავდასხმებს, ან TFGBV-ის შედეგად, შენ გარშემო იზრდება მტრული გარემო, რომელიც შესაძლოა შენ ფიზიკურ უსაფრთხოებასაც უქმნიდეს საფრთხეს, დროებითი გეოგრაფიული ცვლილება ქვეყნის შიგნით ან ქვეყნის

გარეთ შეიძლება ძალების აღდგენის ეფექტური გადაწყვეტა იყოს. ეს არ ნიშნავს დანებებას ან მარცხს! ეს არის ამოსუნთქვის შესაძლებლობა, რომელსაც იმსახურებ და გჭირდება შენი კეთილდღეობისა და შენის საქმიანობის სამომავლო მიზნებისთვის.

როგო შეათხვეწაჲ მოქალაქეთან კომუნიკაციაჲ შესვდა გაგკდაჲბის და ინფორმაციის გარეის შექანიზაჲ

ერთ-ერთმა კონტენტ კრეატორმა, რომელიც ქეის სთადიში აღწერილი იყო, რეგულარულად პასუხობდა ყველა კრიტიკულ კომენტარს და ცდილობდა, გადაერწმუნებინა ადამიანები. ეს მიდგომა შედეგიანი აღმოჩნდა, რადგან მან შეძლო ძალიან დიდი 'ქომუნიტის' შექმნა ტვიტერზე. მისი აზრით, ეს გამკლავების მექანიზმი იყო - ის მას სტრესისგან გათავისუფლების საშუალებას აძლევდა, რადგან ცდილობდა, კომუნიკაციაში შესულიყო ონლაინ-მოდალადებთან. მსგავს მეთოდს საქართველოშიც იყენებენ რიგ შემთხვევაში და იმის და მიხედვით თუ რა პოლიტიკური მიზნების აქვს. „*აქტიუხად პასუხობდა ყვედა კიტიკუდ კომენტაჲს. ეს მიდგომა ზიჯის ენგეიჯმენტს და მისი აზრით, ეს ასევე ქოუფინგ მექანიზმიც აჲის, ჲადგან ის ძადიან დიდი თავდასხმის მსხვეჲპდია გენდჲჲუდი ნიშნით. ასეთი ტიპის კომუნიკაცია ხშირად საშუადებას აძლევს მათ, ჲომ უფჲო მეტი კონგჲოდი შეინაჲჩუნონ სიგუაციაზე და საზოგადოებასთან კავშირი გაამყაჲონ*“

შეტყობინება/სარიჯრის შეტანა სოსიადურ კდატფორმაზე

მიუხედავად იმისა, რომ სარიჯრის შეტანის პროცესი შეიძლება განსხვავდებოდეს არხების მიხედვით, პლატფორმების უმეტესობა სარიჯრის შემტან პირს საშუალებას აძლევს შეინარჩუნოს კონფიდენციალურობა. ეს ნიშნავს, რომ სარიჯრის შეტანისას მის შესახებ ინფორმაცია არ იზიარებს. ბმულები, თუ როგორ შეგიძლიათ შეატყობინოთ ძალადობის ან შევიწროების შესახებ რამდენიმე ჩვეულებრივ ონლაინ პლატფორმაზე, შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ: მიუხედავად იმისა, რომ შეტყობინების სარიჯრის შეტანის პროცესი შეიძლება განსხვავდებოდეს სხვადასხვა პლატფორმაზე, მათი უმეტესობა განმცხადებელს საშუალებას აძლევს შეინარჩუნოს პირადი

ინფორმაცია. ეს ნიშნავს, რომ შეტყობინების საჩივრის შეტანისას მათი ინფორმაცია არ გადაიცემა. ქვემოთ შეგიძლიათ იპოვოთ ბმულები, რომლებიც აღწერს, თუ როგორ შეგიძლიათ შეტყობინების გაკეთება შეურაცხყოფისა და შევიწროების შესახებ ყველაზე ხშირად გამოყენებად ონლაინ პლატფორმებზე:

Facebook:	როგორ შევატყობინო Facebook?
Instagram:	როგორ შევატყობინო Instagram?
LinkedIn:	როგორ შევატყობინო LinkedIn?
Snapchat:	როგორ შევატყობინო Snapchat?
TikTok:	როგორ შევატყობინო TikTok?
Twitter:	როგორ შევატყობინო Twitter?
WhatsApp:	როგორ შევატყობინო WhatsApp?
YouTube:	როგორ შევატყობინო YouTube?
Viber:	როგორ შევატყობინო Viber?
Telegram:	როგორ შევატყობინო Telegram?
Signal:	როგორ შევატყობინო Signal?

სამართალდაცვას ორგანოებში შეტყობინების/საჩივრის შეტანისას რატომ უნდა იყოს ასარიდებლად პროცესში ჩართა მეგობარი ან ნომრით აღჭურვილი პირი

როგორც უკვე იცით, TFGBV შემთხვევებზე საჩივრის შეტანის შემთხვევაში, ჩვენების მიცემისას, შესაძლოა მოგიწიოს, იმ კომენტარების გამოსარჩევად, რომელიც დანაშაულის ნიშნებს შეიცავს (მუქარა), ყველა შეურაცხმყოფელი და მუქარის შინაარსის კომენტარის თავიდან წაკითხვა მოგიწიოს. ამ ფსიქოლოგიურიზიანის თავისასარიდებლად, შენ შეგიძლია ეს პროცესი შენს ნდობით აღჭურვილ პირს მიანდო და შენი თანდასწრებით ეს მან გააკეთოს.

ჩართა იურისტი, პოლიტოლოგი იურიდიული დახმარება, რომ დაზოგო დრო და ემოცია

სამართალდამცავ ორგანოების მხრიდან TFGBV შემთხვევებზე რეაგირება, არსებული გამოცდილების თანახმად, ფორმალურ და არაეფექტურ ხასიათს ატარებს. შესაბამისად, პროცესის ბოლომდე მიყვანა დიდ დროს და ემოციურ ძალისხმევას მოითხოვს. გამოიყენე ყველა შესაძლებლობა, რომ ამ პროცესის მართვა მიაღწიო იურისტს, რომელიც ბოლომდე მიყვება საქმეს, რაც დაგიზოგავს დროს, აგაცილებს ემოციურ ტვირთს და იმედგაცრუებასთან პირისპირ შეჯახებას.

მხარდაჭერის მიღება არასამთავრობო ორგანიზაციებისგან (CSO), რომლებიც მუშაობენ TFGBV-ის კრევენციასა და რეაგირებაზე, მნიშვნელოვანია

როდესაც ტექნოლოგიით მხარდაჭერილი გენდერული ნიშნით ძალადობა (TFGBV) ხდება, შეიძლება გგონია, რომ მარტო ხარ და ეს მხოლოდ შენ შეგემთხვა. თუმცა, მნიშვნელოვანია, ყოველთვის გახსოვდეს, რომ მარტო არ ხარ. TFGBV არის გავრცელებული პრობლემა, რომელიც გლობალურად მილიონობით გოგოსა და ქალს ეხება. არსებობს დახმარებისა და მხარდაჭერის მექანიზმები, თუნდაც არ გსურდეს მისი შეტყობინება და სამართლებრივი ნაბიჯების გადადგმა. შეგიძლია დარჩე ანონიმური. შეგიძლია მიმართო სათემო და პროფესიულ ორგანიზაციებს დახმარებისთვის.

**შენი საქმიანობა ქაღიან ღირებულება
საზოგადოებრივ სივრცეში და განსაკუთრებით,
ქაღიან სივრცეში და მოზონების სივრცეში!**

**შენი ავადმყოფი და გაძევებული პაციენტები,
რომელთაც შენიძლება შეეძინათ ადამიანი რაიმე
ფუნქციონირების ბრძოლაში.**

**იგივე გავქვს, რვენი რჩევები დაგეგმვა,
რომ არ გარეგნულ და
უფრო თავდაჯერებულად გაუგებრობა
გარდაუვად წინააღმდეგობებს.**

გვიგულად შენს აქტიურ მხარდაჭერად!

GCRT – წამების მსხვერპლთა, ფსიქოსოციალური და სამედიცინო ჰეაბილიტაციის ცენტრი

თბილისი

ვ. ანჭაფარიძის ქუჩა #9, 0179
ტელ: +995032220689
სამუშაო საათები: ორშაბათი პარასკევი 09:00 – 18:00 საათი
ვებ-გვერდი: <https://gcrt.ge>

გორი

სტალინის გამზირი #6, 1400
ტელ: +995 599 41 20 40
სამუშაო საათები: ორშაბათი პარასკევი 10:00 – 18:00 საათი

ქუთაისი

გოგებაშვილის ქუჩა#7, 4602
ტელ: +995 599 10 45 63

საფაჩი

ელ.ფოსტა: info@sapari.ge
ტელ: უფასო საკონსულტაციო ხაზი: 599 407 603
ოფისის ნომერი: 0322 307 603
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი: 598 856 333
ვებ-გვერდი: <https://sapari.ge>
მისამართი:
თბილისი, აკაკი გაბოკიძის ქ. N11ა

რეგიონებში მომუშავე იურისტების საკონტაქტო ინფორმაცია:

აჭარა: 595 407 428

ქვემო ქართლი: 599 141 936 (მისამართი: მარნეული, გიორგაძის #1)

იმერეთი: 598 611 107 (ქუთაისი, ი. გოგებაშვილის #7)

კახეთი: 568 618 741

თბილისის, ადამიანის უფლებათა სახლი

აკაკი გაბოკიძის 11ა, 0160,
თბილისი, საქართველო
info@hrht.ge
+995 322 38 20 18

საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი თანადგომა

თბილისი:

ელ.ფოსტა: center@tanadgoma.ge
ტელ: (995 32) 2 35 21 32
ვებ-გვერდი: <https://tanadgoma.ge>
მისამართი: ა. ქურდიანიძის ქ. 21

ბათუმი

ელ.ფოსტა: batumi@tanadgoma.ge
ტელ: (995 422) 27 64 91
ვებ-გვერდი: <https://tanadgoma.ge>
მისამართი: მელიქიშვილის ქ. 35

ქუთაისი

ელ.ფოსტა: kutaisi@tanadgoma.ge
ტელ: (995 431) 26 50 27
ვებ-გვერდი: <https://tanadgoma.ge>
მისამართი: ოცხელის ქ. 2

ქალთა ინიციატივების მსახდამჭერი ჯგუფი (WISG)

ელ.ფოსტა: info@wisg.org
ტელ: 595190303
ვებ-გვერდი: <https://wisg.org/ka>
სერვისები: სოც. მუშაკი, ფსიქოლოგი, სექსოლოგი,